საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/210 " 20 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 18 ნოემბერს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე რაიონულ სასამართლოებში თანამდებობაზე დაინიშნენ ახალი მოსამართლეები, რომელთა დანიშვნის გამო რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეთა სპეციალიზაცია საჭიროებს ახალ რეგულაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/44 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ბ“ და „ა.გ“ ქვეპუნქტები:

„ა.ბ) გიორგი გრატიაშვილი;

ა.გ) ლევან ბარდაველიძე;“;

ბ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ა) ნინო გიორგაძე.“;

გ) მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ბ“ ქვეპუნქტი:

„ა.ბ) თამარ კაპანაძე;“;

დ) მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი:

„ბ.ბ) ვერიკო ზათიაშვილი;“;

ე) მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ა) გრიგოლ ვატიტაძე.“;

ვ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ოზურგეთის რაიონული სასამართლო:

ა) სისხლის სამართლის სპეციალიზაცია:

ა.ა) მარინა კიკნაძე;

ბ) სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია:

ბ.ა) ია ბარამიძე.";

ზ) მე-17 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ბ" ქვეპუნქტი:

„ბ.ბ) ირმა გოგალაძე;".

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2020 წლის 1 დეკემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი